პრეზიდენტი
დიტერ ფ. უხთდორფის მიერ
პირველი პრეზიდენტობის
მეორე მრჩეველი

წრეზე სიარული

როდისმე გაგიგონიათ ძველი გამონათქვამი, რომ დაკარგული ადამიანი წრეზე დადის?

იან ლ. სოუმენი, გერმანელი ფსიქოლოგი, ცდილობდა მეცნიერული გზით დაემტკიცებინა ამ გამონათქვამის ჭეშმარიტება. მან ექსპერიმენტის მონაწილენი დიდ ტყეებსა და სახარას უდაბნოში წაიყვანა და მათი ადგილმდებარეობის დასადგენად აბონებტის ადგილსამყოფელის დასადგენ გლობალურ სისტემას იყენებდა. მათ არ ჰქონდათ, არც კომპასი და არც სხვა რაიმე ხელსაწყო. მათთვის მიცემული ინსტრუქციები მარტივი იყო: ევლოთ სწორ ხაზზე აღნიშნული მიმართულებით.

მოგვიანებით ექიმმა სოუმენმა აღწერა, რაც მოხდა. „ზოგიერთ მათგანს ღრუბლიან ამინდში უწევდათ სიარული, მაშინ, როცა მზე ღრუბლებს უკან იყო დამალული და თვალსაწიერში სხვა რაიმე მანიშნებელი არ იყო. . . . ისინი ყველანი წრეზე დადიოდნენ, რამოდენიმე მათგანი განმეორებით კვეთდა საკუთარ ბილიკს და ვერც კი ამჩნევდა ამას“. სხვა მონაწლენი დადიოდნენ მზის შუქზე, შორეული მანიშნებლებით მხედველობის არეში. „ესენი . . .თითქმის სრულყოფილი კურსით მიდიოდნენ“.[1]

ეს გამოკვლევა სხვა მეთოდების გამოყენებითაც ჩატარდა.[2] ყველა შედეგი ერთმანეთის მსგავსი იყო.

ხილული ორიენტირების გარეშე ადამიანებს უჩნდებათ წრეზე სიარულის ტენდენცია.

წმინდა წერილის ორიენტირი

სულიერი ორიენტირის გარეშე კაცობრიობაც დაეხეტება. ღვთის სიტყვის გარეშე ჩვენ წრეზე დავდივართ.

ჩვენ, როგორც ინდივიდები, ასევე საზოგადოებაც, ვხედავთ ამ მაგალითის გამეორებას დასაბამიდან ყოველ წყობაში. როცა ჩვენ მხედველობიდან ღვთის სიტყას ვკარგავთ, გზა გვერევა.

ეს უდაოდ არის იმის მიზეზი, რომ უფალმა უბრძანა ლეხის, ისევ გაეგზავნა თავისი შვილები იერუსალიმში სპილენძის ფირფიტების მოსატანად. ღმერთმა იცოდა, რომ ლეხის შთამომავლებს დასჭირდებოდათ საიმედო ორიენტირები, რომლების საშუალებითაც მათ ეცოდინებოდათ, მიდიოდნენ თუ არა ისინი სწორი კურსით.

წმინდა წერილები ღვთის სიტყვაა. ისინი ღვთის ორიენტირებია, რომლებიც გვიჩვენებენ იმ გზას, რომლითაც უნდა ვიაროთ, რათა მივუახლოვდეთ მაცხოვარს და მივაღწიოთ ღირსეულ მიზანს.

გენერალური კონფერენციის ორიენტირი

გენერალურ კონფერენციაზე მოცემული მითითებები არის კიდევ ერთი ორიენტირი, რომელიც დაგვეხმარება გავიგოთ, ვართ თუ არა სწორ კურსზე.

დროდადრო მე ვეკითხები საკუთარ თავს: „მოვისმინე ეკლესიის ბოლო გენერალურ კონფერენციაზე გამომსვლელთა სიტყვები? წავიკითხე მათი სიტყვები და კვლავ გადავიკითხე ისინი? გავიაზრე ეს სიტყვები და მოვარგე ისინი საკუთარ ცხოვრებას თუ უბრალოდ ვისიამოვნე შესანიშნავი გამოსვლებით, მაგრამ არ მოვარგე ეს შთაგონებული გამოსვლები ჩემს პირად ცხოვრებას“?

იქნებ მოსმენისა ან კითხვის დროს თქვენ მცირე ჩანაწერები მაინც გააკეთეთ? იქნებ იმის პირობა დადეთ, რომ ამიერიდან რაღაც-რაღაცეებს უკეთესად ან სხვანაირად გააკეთებდით? უბრალოდ დაფიქრდით ბოლო გენერალური კონფერენციის გზავნილებზე. ბევრმა შეგვაგულიანა ოჯახების გამტკიცებასა და ცოლ-ქმრული ურთიერთობების გაუმჯობესებაზე. ჟურნალ *ლიახონას* ამ ნომერში ასევე კეთდება აქცენტი ამ მარადიულ ფასეულობებზე და იგი მოიცავს ჩვენი ცხოვრების დასალოცად მრავალ პრაქტიკულ რეკომენდაციას.

ვაქცევთ კი ჩვენ ყურადღებას და ვიყენებთ ამ ღირებულ რჩევას? ვამჩნევთ ამ რეალურ და ფასეულ ორიენტირებს და მივდივიართ მათი მიმართულებით?

ხეტიალის საწინააღმდეგო საშუალება

სულიერი ორიენტირები აუცილებელია იმისთვის, რომ დავრჩეთ რთულ და ვიწრო ბილიკზე. ისინი ნათლად მიგვითითებენ მიმართულებას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ვიმოგზაუროთ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ შევნიშნავთ მათ და ვივლით მათ მიმართულებით.

თუ ჩვენ უარს ვამბობთ ვიხელმძღვანელოთ ამ ორიენტირებით, ისინი გარდაიქცევიან უაზრო დეკორაციად, რომელსაც აქვს ერთი დანიშნულება - იყოს უბრალო შემაღლება ჰორიზონტზე.

არ არის საკმარისი იხელმძღვანელო მხოლოდ ინსტინქტებით.

არ არის საკმარისი იქონიო საუკეთესო ზრახვები.

მხოლოდ ბუნებრივ გრძნობებზე დაყრდნობით ვერ მივაღწევთ მიზანს.

მაშინაც კი, როცა ვფიქრობთ, რომ ზუსტად მივყვებით სწორ სულიერ გზას, გზის მიმთითებელი ჭეშმარიტი ორიენტირებისა და სულიწმინდის გზამკლევობის გარეშე, ჩვენ, როგორც წესი, გზა გვებნევა.

მაშასადამე, მოდით გავახილოთ თვალები და შევნიშნოთ ორიენტირები, რომლებიც კეთილმოსურნე ღმერთმა მოუმზადა თავის შვილებს. მოდით წავიკითხოთ, მოვისმინოთ და მოვარგოთ საკუთარ თავს ღვთის სიტყვა. მოდით მონდომებით ვილოცოთ, შევისმინოთ და მივყვეთ სულის კარნახს. როგორც კი შევნიშნავთ ჩვენი მოსიყვარულე მამაზეციერის ღვთიურ ორიენტირებს, უნდა ავიღოთ მათზე კურსი. როცა ჩვენ მიმართული ვართ სულიერ ორიენტირებზე, რეგულარულად უნდა ვასწოროთ კურსი.

ასეთნაირად ჩვენ წრეზე კი არა, არამედ დაჯერებულად და მტკიცედ ვივლით იმ დიდი ზეციური კურთხევისკენ, რომელიც დაბადებიდან ეკუთვნის ყველას, ვინც მისდევს ქრისტეს მოწაფეობის რთულ და ვიწრო ბილიკს.

შენიშვნები

1. იხ. იან ლ. სოუმენი და სხვები: „წრეზე სიარული“, *Current Biology* 19 (Sept. 29, 2009), 1538, cell.com/current-biology/issue?pii=S0960-9822(09)X0019-9.
2. მაგალითად, იხილეთ: “A Mystery: Why Can’t We Walk Straight?” npr.org/blogs/krulwich/2011/06/01/131050832/a-mystery-why-can-t-we-walk-straight.

ამ მოწოდების სწავლება

ამ გზავნილის სწავლების მზადებისას, თქვენ შეგიძლიათ წმინდა წერილში მოიძიოთ ან იმ ადამიანების მაგალითები, რომლებიც სულიერი ორიენტირებით ხელმძღვანელობდნენ ან მათი, ვინც წრეზე დადიოდნენ. შეგიძლიათ დაიწყოთ მეცადინეობა ამ ნაწყვეტებით წმინდა წერილებიდან: რიცხვნი 14:26–33; 1 ნეფი 16:28–29; ალმა 37:38–47. თუ იგრძნობთ ამის საჭიროებას, შეგიძლიათ გაუზიაროთ ეს მაგალითები თქვენს მოწაფეებს. ჰკითხეთ, რა შეიძლება ვისწავლოთ ამ ნაწყვეტებიდან.

ახალგაზრდები

ორიენტირები თქვენთვის

პრეზიდენტი უხთდორფი აღწერს გენერალურ კონფერენციას და წმინდა წერილებს, როგორც ორიენტირებს, რომლებიც გვეხმარებიან თავი ავარიდოთ სულიერ ბოდიალს. იფიქრეთ სხვა სულიერ ორიენტირებზე, რომლებმაც თქვენზე მოახდინა გავლენა და წინ წაგიძღვათ ცხოვრებაში. ჩაიწერეთ დღიურში თქვენი გამოცდილება. შესაძლოა პრეზიდენტ თომას ს. მონსონის ამ ციტატებმა გაგიწიონ დახმარება:

„თქვენი საპატრიარქო ლოცვა-კურთხევა გაგატარებთ ყველაზე ბნელ ღამეშიც კი. იგი ცხოვრების ხიფათში გაგატარებთ. . . . თქვენი ლოცვა-კურთხევა არ არის ის, რასაც კოხტად დაკეცავთ და გვერდზე გადადებთ. ის არც ჩარჩოში ჩასასმელი და არც გამოსაქვეყნებელია. იგი უნდა წაიკითხოთ, შეიყვაროთ და მიჰყვეთ მას“.

„თქვენი საპატრიარო ლოცვა-კურთხევა: მუქის ლიაჰონა,” *Ensign*, ნოემბერი 1986, 66.

„მამა ზეციერმა ისე არ გაგვიშვა მარადიულ მოგზაურობაში, რომ არ მოეცა ჩვენთვის საშუალებები, რომლებითაც ჩვენ შევძლებდით მისგან იმ მითითებების მიღებას, რომლებიც უზრუნველჰყოფდნენ ჩვენს უსაფრთხო დაბრუნებას. მე ვგულისხმობ ლოცვას. მე ასევე ვგულისხმობ ჩუმი, წყნარი ხმის ჩურჩლს“.

„ცხოვრების რბოლა“ *ლიახონა*, მაისი 2012, 92.

ბავშვები

მე საკუთარი გზის პოვნა შემიძლია

პრეზიდენტი უხთდორფი ამბობს, რომ ჩვენ უნდა მივყვეთ სულიერ ორიენტირებს, რადგან ისინი დაგვეხმარებიან ავირჩიოთ ჭეშმარიტება და მივუახლოვდეთ მხსნელს. ამ ორიენტირებიდან ერთ-ერთი არის ლოცვა, წმინდა წერილი, გენერალური კონფერენცია და *ლიახონა*.

ოჯახთან ერთად წაიკითხეთ ერთ-ერთი გამოსვლა ბოლო კონფერენციიდან. რას გვირჩევს გამომსვლელი იმისთვის, რომ დავრჩეთ სწორ გზაზე? ოჯახთან ერთად დაისახეთ მიზანი - გამოიყენოთ ცხოვრებაში ის, რაც ისწავლეთ.

© 2013 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/12. თარგმანი დამტკიცებულია: 6/12. თარგმანი *First Presidency Message, June 2013*. Georgian. 10666 131

საოჯახო ისტორიის სიხარული

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა, და შესაფერ დროს იმსჯელეთ მასზე თქვენს დებთან, მათთან სტუმრობისას. გამოიყენეთ მოცემული კითხვები, რათა განამტკიცოთ თქვენი დები და გადააქციოთ მოწყალების საზოგადოება თქვენი საკუთარი ცხოვრების აქტიურ ნაწილად.დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი www.reliefsociety.lds.org.

რწმენა, ოჯახი, მოწყალება

უხუცესი რასელ მ. ნელსონი თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან გვასწავლის, რომ ილიას სული არის „სულიწმინდის გამოვლენა, რომლითაც იგი მოწმობს ოჯახის ღვთაებრივ ბუნებაზე.“[1]

ჩვენ, როგორც ქრისტეს აღდგენილი ეკლესიის წევრებს, გვაკისრია აღთქმით დადებული ვალდებულება მოვიძიოთ ინფორმაცია ჩვენი წინაპრების შესახებ და ვუზრუნველჰყოთ მათთვის სახარების ხსნის წეს-ჩვეულებანი. ისინი ჩვენს გარეშე ვერ „მიაღწევენ სრულყოფილებას“ (ებრაელთა 11:40), და „ვერც ჩვენ გავხდებით სრულყოფილნი ჩვენი გარდაცვლილი წინაპრების გარეშე“ (მოძღვრება და აღთქმები 128:15).

საოჯახო ისტორიის სამუშაო გვამზადებს მარადიული ცხოვრების ლოცვა-კურთხევების მისაღებად და გვეხმარება ჩვენი რწმენისა და პირადი სამართლიანობის გაძლიერებაში. საოჯახო ისტორია ეკლესიის მისიის მნიშვნელოვანი ნაწილია და იგი ყოველი ჩვენთაგანისთვის უზრუნველჰყოფს ხსნის სამუშაოსა და ამაღლებას.

თორმეტ მოციქულთა ქვორუმის პრეზიდენტმა, ბოიდ კ. პეკარმა, ბრძანა: „მაშინ, როცა ჩვენ საკუთარ წინაპრებს მოვიძიებთ, ჩვენ გვიჩნდება ინტერესი არა მხოლოდ სახელებით, არამედ გვიჩნდება უფრო ღრმა ინტერესი. . . . ჩვენი ინტერესი მოაბრუნებს ჩვენს გულებს ჩვენი მამებისკენ; ჩვენ ვცდილობთ მათ მოძიებას, შეცნობასა და მათთვის მსახურებას“.[2]

წმინდა წერილებიდან

მალაქი 4:5–6; 1 კორინთელთა 15:29; მოძღვრება და აღთქმები 124:28–36; 128:15

ჩვენი ისტორიიდან

წინასწარმეტყველი ჯოზეფ სმითი გვასწავლიდა: „ამ ქვეყნად ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა , რომელიც დაგვაკისრა უფალმა, არის ჩვენი გარდაცვლილი წინაპრების მოძიება.“[3] ჩვენ შეგვიძლია ტაძარში გამოვიდეთ ჩვენი გარდაცვლილი წინაპრებისთვის შემცვლელის როლში და შევასრულოთ მათთვის აუცილებელი წეს-ჩვეულებანი.

სალი რენდოლმა, ილინოისის შტატის ქ.ნავუდან, რომლის 14 წლის ვაჟი გარდაიცვალა, მარადიული ოჯახების არსებობის დაპირებაში დიდი სიმშვიდე იპოვა. მას შემდეგ, რაც მისი მეუღლე მოინათლა მისი ვაჟიშვილის ნაცვლად, მან მიწერა თავის ნათესავებს: „რა დიდებულია ის, რომ ჩვენ . . . შეგვიძლია მოვინათლოთ ყველა ჩვენი გარდაცვლილი ნათესავებისათვის და გადავარჩინოთ ისინი იმ დროიდან, რა დროიდანაც შევძლებთ მათ მოძიებას.“ მერე მან სთხოვა თავის ნათესავებს გამოეგზავნათ მისთვის ინფორმაცია მათი ნათესავების შესახებ სიტყვებით: „მე ვაპირებ გავაკეთო ყველაფერი, რაც შემიძლია, ჩვენი ოჯახის გადასარჩენად.“[4]

შენიშვნები

1. რასელ მ. ნელსონი, „A New Harvest Time”, *ლიახონა*, ივლისი 1998, 34.
2. ბოიდ კ. პეკარი, „Your Family History: Getting Started,” *ლიახონა*, ნოემბერი 2011, 17
3. *Teachings of Presidents of the Church: Joseph Smith* (2007), 475.
4. იხილეთ *Daughters in My Kingdom: The History and Work of Relief Society* (2011), 20–21.

რა შემიძლია გავაკეთო?

1. როგორ შემიძლია დავეხმარო დებს, რომლებიც მაბარია, მიიღონ მონაწილეობა საოჯახო ისტორიაში?

2. ვწერ მე ჩემს პირად ისტორიას?

© 2013 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/12. თარგმანი დამტკიცებულია: 6/12. თარგმანი *Visiting Teaching Message, June 2013*. Georgian. 10666 131